ბაღდათის მუნიციპალიტეტის

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

ვამტკიცებ შიდა აუდიტისა

და ინსპექტირების სამსახურის

უფროსის მოვალეობის

შემსრულებელი: უჩა გელხვიიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური

ბიუჯეტის შესრულების შიდა აუდიტორული

შემოწმების ანგარიში

სარჩევი

1. აუდიტის საფუძველი, მიზანი და მასშტაბი.
2. აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
3. აუდიტის პასუხისმგებლობა.
4. ანგარიში

1. **აუდიტის საფუძველი, მიზანი და მასშტაბი.**

აუდიტის საფუძველს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N24 დადგენილება, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების შესაბამისად ევალება კონტროლი ბაღდათის მუნიციპალიტეტის სახსრების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების შესახებ.

აუდიტის მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველკვარტალური, წლიური შესრულების ანგარიშის საკრებულოში განხილვისას გამოხატოს მოსაზრება, მერიის და ა(ა)იპ-ების მიერ განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებზე, ამჟამად აუდიტის ობიექტს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და გაწეული მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

2. **აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.**

მერიის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესწავლის პროცესში საფინანსო სამსახურის მიერ, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია მერიის ყველა შესაბამისი სამსახური.

3. **აუდიტის პასუხისმგებლობა.**

აუდიტის ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობაა, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მერიის 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში მოიცავს რიცხობრივ მაჩვენებლებს შორის ურთიერთთანაფარდობისა და სხვა მონაცემების გონივრულ შედარებას. ანგარიშის მომზადების ვადებისა და სხვა წინაპირობების გათვალისწინებით იგი ვერ უზრუნველყოფს სრულ საბუთობრივ შემოწმებას და შესაბამისობის სისწორის დადგენას განხორციელებულ გადარიცხვებთან.

ამასთანავე ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს სხვა პერიოდის საბუთებიც, საბუთების მოქმედების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე ან მიზეზშედეგობრივად დაკავშირებული შიდა აუდიტისთვის ღირებული საბუთები.

4. შიდა აუდიტორული ანგარიში

2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თავდაპირველად განისაზღვრა 8152.2 ათასი ლარით. საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 8 ცვლილება და საბოლოოდ განისაზღვრა 17,078.8 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის შემოსულობების გეგმის შესრულებამ შეადგინა 98.5 %-ი. მათ შორის საგადასახადო შემოსავლების შესრულებამ შეადგინა 98.5%-ი.

შესრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა ქონების გადასახადის სახით მისაღები შემოსავალი (61.5%). თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გადასახადის შემოსავლის გეგმაც და ფაქტიც სახელმწიფო პრეროგატივაა და მისი არც დაგეგმვა და არც შემოსავლების ადმინისტრირება ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით არ ხდება. ასევე აღსანიშნავია დღგ გადასახადის შედეგად მიღებული შემოსავლის გადაჭარბებით მიღებაც 112.4%, რომელიც ასევე ცენტრალურ ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

სხვა შემოსავლების შესრულებამ შეადგინა 87 %-ი. მათ შორის შესრულების დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა რენტა 78.8%. გეგმას დააკლდა 95 ათასი ლარი. აღნიშნული შემოსავლების გეგმა განისაზღვრა წინა წლების მონაცემების მიხედვით და მისი ამოღება და ჩარიცხვა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ.

სხვა შემოსავლებიდან შესრულების მიხედვით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტიდან მიღებული შემოსავალი თავდაპირველად დაგეგმილი იყო 35 ათას ლარზე შემოსავალმა შეადგინა 92.2 ათასი ლარი (წინა წლის ფაქტია 27.2 ათასი ლარი). აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მუნიციპალიტეტს ანგარიშზე ქონდა დიდი თავისუფალი ნაშთი, რომელზეც ერიცხებოდა პროცენტი და რომელიც შემდეგ გადმოყვა 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს (პრივატისაციის შედეგად დამატებით მიღებული სახსრები და გაზრდილი დღგ-ს თანხა).

სხვა შემოსავლებში შესრულების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის (86%). დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმილი იყო წლიურად 120 ათას ლარზე. წლის განმავლობაში ფაქტიურად შემოსულია 103.1 ათასი ლარი. დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობითაც ვერ ამოქმედდა გადამხდელთა ბაზის სრულყოფისა და მისაღები შემოსავლის სრული მოცულობის განსაზღვრისათვის შეძენილი სპეციალური პროგრამა. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელმა გადასახადი უნდა გადაიხადოს ეგრეთწოდებული „ბანკომატის“ საშუალებით, რომელიც ასევე საკომისიო გადასახადსაც ითვალისწინებს. გამომდინარე იქედან, რომ დასუფთავების მოსაკრებლის ინკასატორებს თვის განმავლობაში რამდენჯერმე უწევთ ერთი და იგივე ოჯახში მისვლა მოსაკრებლის ამოსაღებად, თანხის ამოღება მაინც გაძნელებულია.

სოციალური სამსახურის მიერ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში 2021 წლის განმავლობაში გახარჯულია მათზე დაგეგმილი დაფინანსება სრულად 542. 2 ათასი ლარი (მათ შორის საგარანტიო 29.5 ათასი ლარი). დაკმაყოფილებული იქნა ყველა მომართვიანობა სრულად, რომლებიც აკმაყოფილებდა ,,სოციალური დახმარების გაცემის წესის" შესაბამისად მოთხოვნილ კრიტერიუმებს, ჯამში 2276 მოქალაქე.

ეკონომიკის სამსახურის მიერ 2021 წლის განმავლობაში ქირა/იჯარის შემონატანებით ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულია 65 536 ლარის შემოსავალი. მაშინ როდესაც 2020 წელს შემოსავალი შეადგენდა 33 793 ლარს, შესაბამისად მნიშვნელოვნად მზარდი მაჩვენებლით გამორჩევა წინა წელთან შედარებით და თითქმის გაორმაგდა. 2020 წელს მოქმედებდა 35 ხელშეკრულება ხოლო 2021 წელს 53 ხელშეკრულება. ხშირია შემთხვევები როდესაც ადგილი აქვს გადასახდელი იჯარის თანხების გარკვეული დროით რამოდენიმე თვით დაგვიანებებს. ამ შემთხვევაში ეკონომიკის სამსახურის რეაგირება გამოიხატება მათზე გაფთხილების წერილების გაგზავნით და ზედამხედველობის სამსახურის ჩართვით, რომლებიც ადგილზე გასვლით ახდენენ მათ გაფთხილებას. ხელშკრულების პირობის შესაბამისად სამსახურს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლოები ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანების შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნულ უფლებას არ იყენებს. ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსისტთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ა(ა)იპ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ხორციელდება ქონების მართვის ელექტრონული პროგრამის დანერგვა, რაც ითვალისწინებს მუნიციპალურ საკუთრებაში არებული დროებით სარგებლობაში გაცემული ქონებიდან მისაღები საიჯარო თანხის სრულად და დროულად ამოღების კონტროლისა და ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული პირგასამტეხლოების დაკისრების მექანიზმს.

2018 წლის ბოლოს პრივატიზაციის შედეგად გაყიდული ქონება 30.11.33.288 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (ძველი კომგანის შენობა) ხელშკრულების მიხედვით ითვალისწინებდა მყიდველის მიერ 3 წლის განმავლობაში ანუ 2021 წლის ბოლომდე 300.0 ათასი ლარის ინვესტიციის განხორციელებას. ხელშეკრულების შესაბამისად მყიდველს წარმოდგენილი აქვს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომლის მიხედვითაც 2021 წლის ბოლოს მან შეასრულა საინვესტიციო ვალდებულება და განხორციელებული აქვს 350.2 ათასი ლარის ინვესტიცია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 1 659 ათას ლარს. მათ შორის შენობების პრივატიზაციიდან 342.2 ათასი ლარი, ხოლო მიწების გაყიდვიდან 1 317.1 ათასი ლარი.

2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ყველაზე დიდი ნაშთი არის -სოფელ ვარციხეში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ცენტრის შენობის რეკონსტრუქციის თანხა, 124.5 ათას ლარს (შპს „მტმ“). სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო გასული წლის 31 ივლისს, დასრულდა 2021 წლის ბოლოს. აღნიშნული დაგვიანება გამოწვეულია პროექტში რამდენჯერმე შეტანილი ცვლილებით, დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს სამუშაოების საექსპერტო შეფასება. ვადაგადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლო შეადგენს დაახლოებით 40 ათას ლარს.

2020 წელს 10 დეკემბერს კომისიის მიერ მოხდა სოფ. დიმის N2 ბაღის მშენებლობის სამუშაოების საბოლოო მიღება ჩაბარება 548. 945 ათას ლარზე. მიმდინარე პერიოდში ბაღში აღინიშნება სხვადასხვა დაზიანებები კედლებზე: გაჩნდა ბზარები, აძვრა პლინტუსები, სავენტილაციო წერტილიდან ჩამოვიდა წყალი, მილებში წყლის გაჟონვის გამო დაზიანდა კედლები, დაზიანდა წყლის ტუმბო რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა წერილობითი შეტყობინებების გაგზავნა (ასევე მრავალი ზეპირი კომუნიკაცია) შემსრულებელზე არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუმცა არმომხდარა ხარვეზის გამოსწორება. ხელშეკრულების მიხედვით შემსრულებელი ვალდებულია 3 წლის განმავლობაში რაიმე ხარვეზის და დეფექტის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი გამოსწორება. შესაბამისი სამსახურის განმარტებით მუნიციპალიტეტის მხრიდან პრობლემის მოგვარების ერთადერთი გამოსავალია მიმართოს სასამართლოს, რათა მოახდინონ მიმწოდებელზე ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების დაკისრება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელში რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 17 ობიექტი. მთლიანად ათვისებული იქნა მთავრობის 168 განკარგულებით გამოყოფილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანხები. სრულად იქნა დაფინანსებული შესაძლებლობის ფარგლებში ყველა სოციალური, განათლების, კულტურული , სპორტული ჯანდაცვის პროექტები. დაიდგა 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით რევაზ ლაღიძის ბიუსტი და ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები ბაღდათსა და ობჩაში.

ა(ა)იპ ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების 2021 წლის სუბსიდია თავდაპირველად განისაზღვრა 1 228.4 ათასი ლარით, ხოლო შემდეგი ცვლილებების შედეგად დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 1 315.4 ათას ლარს. წლიური შესრულება შეადგენს 1 295.6 ათას ლარს. ხარჯებიდან აღსანიშნავია, რომ ჯამში ტრანსპორტის მოვლა შენახვისათის გაწეული რემონტის და სათადარიგო ნაწილების ხარჯები შეადგენს 89 808 ლარს, რომელსაც ემატება ე.წ გრეიდერის შეკეთბის თანხა (23 200 ლარი რომელიც წელს ჩაირიცხება).

ა(ა)იპ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის წლიური სუბსიდია შეადგენს 382.2 ათას ლარს. წლიური შესრულება კი შეადგენს 374. 4 ათას ლარს. საკუთარი შემოსავალი შეადგენს 100 ლარს. წლის განმავლობაში ვერ მოხდა დაგეგმილ სამივლინებო ხარჯების

სრულად ათვისება რადგან რიგი ტურნირები გადაიდო და ვერ მოხდა მათი ჩატარება და ტურნირებზე გამგზავრება, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე.

ა(ა)იპ - ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დაფინანსება 2021 წელს განისაზღვრა 742.7 ათას ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 675.8 ათასი ლარი. პანდემიიდან გამომდინარე აიპის საქმიანობა დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა. 2021 წლის დაფინანსებიდან აუთვისებელი თანხა შეადგენს 66,9 ათას ლარს, საიდანაც ვალდებულებით დატვირთული იყო 39 ათასი ლარი. 2021 წლის განმავლობაში ცენტრს აქვს 8 190 ლარის საკუთარი შემოსავალი. წლის დასაწყისში დაგეგმილი იყო 18 ათასი ლარზე.

ა(ა)იპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების 2021 წლის გეგმა შეადგენდა 1 495.5 ათას ლარს. წლის განმავლობაში გახარჯულია 1 408.9 ათასი ლარი. ეკონომიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაკეთბულია კვების თანხებში დაგეგმილი იყო 130.0 ათასი ლარით, შესრულება არის 69.9ათასი ლარი. ამას თან დაერთო ის, რომ წინა წლის ოქტომბრის თვიდან მოხერხდა სწავლის განახლება ბაღდათის N1, დიმის N1 და ვარციხის ბაღებში, მათზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო.

ბაღებში 2021 წელს სულ ჩარიცხული იყო 697 ბავშვი. წლის ბოლოს საახალწლოდ მათზე გადასაცემი საჩუქრებისათვის გახარჯულია 6 594 ლარი. საჩუქრები გადაცემული იქნა ყველა ჩარიცხულ ბავშვზე. წლის განმავლობაში და დღეის მდგომარეობითაც ბაღებში ადგილი ქონდა პანდემიიდან გამომდინარე სურსათზე ფასების გაზრდის გამო მიმწოდებლების მხრიდან მომართვებს, ხელშეკრულების თანხის გაზრდაზე. მიუხედავად ამისა ბაღებს არ მოუხდენია ხელშეკრულების თანხის გაზრდა. დღეის მდგომარეობით ყველა ბაღში მიმდინარეობს სწავლის პროცესი. რაც შეეხება ბავშვთა გამტარიანობას 2021 წელს შეადგინა საშუალოდ 303 ბავშვი, ხოლო მიმდინარე წლის მარტის მდგომარეობით შეადგენს 250 ბავშვს, ჩარიცხულია 697 ბავშვი. გაერთიანებაში ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ბაღებისთვის მიმწოდებლის მიერ პურის მიწოდების დაგვიანებას. ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელს ევალება ბაღისათვის პურის მიწოდება ყოველსამუშაო დღეს დილის რვა საათიდან ათის ნახევრამდე, მიუხედავად ამისა მიმწოდებლს ზოგიერთ ბაღში შუადღემდეც კი ვერ მიაქ პური ადგილზე. გამომდინარე აქედან ზოგიერთ ბაღში პურის მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში ბავშვებზე ხდება წინა დღეს ნაშთად დარჩნილი პურით გამოკვება. აღნიშნული პრობლემის დადგომიდან გამომდინარე მაგ. ხანის და წყალთაშუის საბავშვო ბაღში შეძენილია პურის საცხობები და ადგილზე ხდება პურის გამოცხობა ბაღის თანამშრომლის მიერ.

მიმდინარე წლის მარტის თვიდან დაგეგმილია სახელმწიფო აუდიტის მიერ 2021 წელს აიპებზე გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მოახდენს აიპების საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობის დადგენას. მათ მიერ მოხდება შესწავლა არის თუ არა თითოეულ თანამშრომლებზე შესაბამისი ფუნქცია

მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები, ასევე მოხდება თითოეული თანამშრომლის მიერ მათი ვალდებულებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის შეფასება.

2021 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის სოფლის წარმომადგენლებს ნაშთად ერიცხებათ 224.8 ათასი ლარის მასალები. მათ შორის ყველაზე დიდი ნაშთია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანაგობაზე გადაცემული სახლის სახურავები. თანადაფინანსებით მიმდინარეობს მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია, რომლის 95 %-ს აფინანსებს მერია.

2018-19 სტიქიური უბედურების (ქარი) შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის მოსახლეობაზე გადაცემული სახურავის მასალებიდან დღეის მდგომარეობით 9 ოჯახს კვლავ გამოუყენებელი აქვთ აღნიშნული მასალები. აქედან 4 ფერსათში, 1 ზედა დიმში, 1 ნერგეეთში, 1 პირველი ობჩაში, 1 მეორე ობჩაში და 1 საკრაულაში.

ასევე 2016 წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა და გადაცა მე-2 ობჩაში სახლის სახურავის მასალები 4 ოჯახს, რომელიც დღესაც გამოუყენებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა სოფლის წარმომადგენლის მიერ გაკეთებულია მოხსენებითი ბარათები სადაც ისინი განმარტავენ აღნიშნული მასალების გამოუყენებლობის მიზეზებს. ძირითადად მიზეზები მდგომარეობს შემდეგში, რომ უმეტესობას სახსრები არააქვთ სახლის დასახურად ხელოსნების დაქირავებისთვის, ზოგიერთი მარტო ცხოვრობს და არ შეუძლია აღნიშნული მასალების გამოყენება, ზოგის შემთხვევაში კი სახლები ისეთ ავარიულ მდგომარეობაშია რომ მათზე სახურავის დაფარება არ არის მიზანშწონილი და საჭიროებს ახალი სახლის აშენებას ან გამაგრებას. ასევე ადგილი აქვს ისეთ ფაქტებსაც როდესაც მოქალაქე განმარტავს, რომ მას არც გამოუყენებია და არც აპირებს გადაცემული მასალების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც მოქალაქეებზე გადაცემული მასალების გახარჯვა არ მომხდარა 2016 წლიდან მოყოლებული დიდი რისკია იმისა, რომ ისინი შეიძლება ისე იყოს დაზიანებული, რომ აღარ იყოს გამოყენებისთვის ვარგისი. ასევე როდესაც ადგილი აქვს მოქალაქეების მხრიდან მასალების არგამოყენების ნებას და მცდელობას უნდა მოხდეს მათზე გარკვეული რეაგირების მოხდენა. შესაბამისმა სამსახურებმა ან კომისიამ აღნიშნული მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი ზომები რათა აღნიშნული მასალები გამოყენებული იქნას დროულად და მოხდეს მათი ჩამოწერა.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური:

I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ზაურ გაჩეჩილაძე**

I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **თეიმურაზ ლომსიანიძე**

18.03.2022წ